№ 12

23 მარტი

# ივერია

ფასი ერთი შაური

1909 წ.

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, ред. газ. „ИВЕРІА“ **К. П. Туманову.**

გაზეთი „ივერია“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ყველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

**წლის ფასი 3 მან.**

სარედაქციო ნაწილის გამგე **კ. პ. თუმანიშვილი.**

## ამერიკული ვაზის სანერგე

„კლო-ყგურული“ ქუთაისში.

**მთელ რუსეთში განთქმული მრავალი სხვადასხვა ჯიშის ვაზები**

**1200** ჯიშის ამერიკული, ევროპიული და აზიური ღვინის და საჭმელ ყურძნის და გიბრიდები პირდაპირ დასარგველი.

**პრეის-კურანტი და ახსნა-დარიგება ეგზავნება მსურველს უფასოთ.** (3—3).

## ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხ.

## კოლხიდა

დაიწყეს წადება სხვა და სხვა **დამყნილ ვაზისა**

საჭირო ცნობების და პრეისკურანტების მიღება შეიძლება გამ. **გ. მ. ჩივაძისაგან.**

0—1

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნ. წინამძღოლის თანამდ. აღმასრ.

ამით აცხადებს, რომ ტფილისის გუბერნიის მორიგი კრება მოხდება 24 ამა მაისს ქ. ტფილისში.

კახელ მეღვინეთა ამხანაგობა

## საერო

ამხანაგობის წევრთა ვენახების ღვინო ბოთლი 25 კაპ და მეტიც.

მუდმივ მუშტრებს ღვინო დაკლებულ ფასებში ეძლევათ

**მაღაზია იმყოფება ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში**

ტელეფონის № 720.

0—1

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმ.

სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის ადგილობრივ განყოფილებისაგან მიღებულ ცნობის თანახმად, ატყობინებს იმათ, ვისაც ხსენებულ ბანკში მამულები აქვთ დაგირავებული, რომ გაზაფხულის ტორგებზე მსესხებლებს არავითარი შეღავათი არ ექნება და ამიტომ ყველამ ნედღიმ. თავის დროზე და სრულად უნდა გადაიხადონ.

კახეთის ნამდვილი

ღვინო



ტფილისი, ტატიშჩევის № 31

„ძმობა“

0—1

Д. З. САРАДЖЕВЪ

ТИФЛИСЪ.



КАВКАЗСКІЙ

НАТУРАЛЬНЫЙ

КОНЬЯКЪ

## კაფე პარიზი

ტფ. თავად-აზნაურობის თეატრის უზოში (Дворцовая ул,)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო პირაჟოკები, ბუტერბორტები (15 კაპ. და მეტიც)

ხაჭაპური

**ცივი და ცხელი კერძები 25 კ. და მეტი**

სასმელი წყლები

**ლუდი, სადილი**

**ფასები ხელმისაწდომია**

სისუფთავე და კარგი სამსახური

ვკისრულობ სოფლის და ქალაქის მამულების

## დაგირავებას და გადაგირავებას

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 8½—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.

დაბა უგირილასა და შორაპნის შუა

## იყიდება

პირველ ხარისხოვანი **სავენახე ადგილები** სივრცით 40 ქცევა, საჟენი 25 კაპ. და მეტიც, **მორიგებით.** მსურველს შეუძლია მიმართოს პირობების გასაგებათ უგირილაში „სორაპნის“ წიგნის მაღაზიაში **ი. გაზეჩილაძეს.**

## გრამოფონის სააქციო საზოგადოება

ტფილისის განყოფილება, გოლოვინის პროსპექტი № 9.

პატივცემულ მყიდველებს და იმათ, ვინც გაცნობილი არ არის მე-XX საუკუნეში გამოგონილ გრამაფონებს, ვატყობინებთ რომ ყოველ ოჯახის სიხარულის და კმაყოფილების ნამდვილი წყაროა

# გრამოფონი



საზოგადოების ნამდვილ პლასტინკებით, რომელთაც ზედ აზის საფაბრიკო ნიშანი **„მწერავი ანგელოზი“** ან **„ზონოფონი“** ამ უქმეებისთვის საუკეთესო საჩუქარია





## გრამოფონი

გრამოფონების ფასია 30—100 მანეთამდის და უფრო მეტიც, პლასტინკები 75 კაპ.—3 მან. და მეტიც.

მყიდველებს ვურჩევთ შეიძინონ პლასტინკები შერჩეული ოპერებად და ოპერეტკებად, აგრეთ საცეკვაო მუსიკის პლასტინკები. ამნაირად ყველას საშვალება ეძლევა მოისმინოს ოპერა და ოპერეტკა შინ, თავის ოთახში, ან მოაწყოს შინვე საცეკვაო საღამო

**მოგვყავს შემდეგი სია:**

| ოპერეტკები: | ოპერები: | საცეკვაო: |
| --- | --- | --- |
| ღამურა | ფაუსტი | შაკონ |
| მხიარული ქვრივი | რუსულათ და ლიუდმილა | კიტაიანკა |
| დოლარების პრინცესსა | პიკოვაია დამა | ლეკური |
| | ევგენი ონეგინ | ზეც და სხვ. |

## აგრეთვე სხვა და სხვა ქართული, იმერული და გურული სიმღერები

ვთხოვთ ყველას ყურადღება მიაქციონ საფაბრიკო ნიშნებს და სიყალბეს და მოტყუილებას ერიდონ

ZONOPHONE TRADE-MARK

პრეისკურანტები, კატალოგები, სიები და ყველა ნაბეჭდი წიგნები მსურველთ მუქთად დაურიგდებათ და ეგზავნებათ.

ყოველი სიმღერა პლასტინკით მსურველისათვის საზოგადოების მაღაზიაში უფასოდ დაიკვრება. მაღაზიასთან სახელოსნოა, შეკეთება მეტად იაფად სრულდება.

4—4

### ტფილისი 23 მარტი.

ეროვნულ იდეალების წამოყენება ჩვენში დღესაც კიდევ ძნელი გასაბედია, რადგან დღესაც ხალხს ხშირად ჰგონია, რომ ეს იდეალები მხოლოდ ბურჟუა-შოვინისტების საქმეა, **ხალხის** ფართო მასსებისათვის უმნიშვნელო და მავნებელი.

დღესაც კიდევ ამ მასსებს ვერ შეუგნიათ, სად არის მტერი, რომელიც ძირს უთხრის მის კეთილდღეობას, რა საშუალებით არის საჭირო ბრძოლა ამ კეთილდღეობის მოსაპოვებლად. დღესაც ხალხი ხშირად თუთიყუშივით იმეორებს იმას, რასაც ასეთის გულმოდგინებით ჩასძახოდენ მას ქკუამოკლე პროპაგანდისტები, რის ჩაძახებასაც ხელს უწყობდა ჩვენში ს.-დემოკრატიული პარტია, რის ჩაძახებით ცდილობდენ გაბატონებას ამ პარტიის მეთაურები...

რაკი სხვა პარტიებს თავიანთ პროგრამაში ეროვნული იდეალებიც ჰქონდათ მოხსენებული, ამიტომ ს.-დემოკრატებმა ამ პარტიებთან საბრძოლველად სხვა გზა ვერ ნახეს, ეროვნულ იდეალებს დაუწყეს სახელის გატეხა და ეროვნულ იდეალებისათვის ყოველი მოღვაწე ხალხის მტრად გამოაცხადეს...

ასეთი აზრი დღესაც აქა-იქ ტრიალებს... სოციალისტობით, მუშათა კლასსის იდეალებით, პროლეტარიატის ხსნებით უნდათ ქართველ ერს მოაშორონ თავიდან ის საფრთხე, რომელიც მას მოელის, ის შევიწროვება, რომელსაც იგი ასი წლის განმავლობაში განიცდის...

ჩვენებური გლეხი მიწის უკიდურეს სივიწროვესაგან იტანჯება, ხაზინას აქვს ხელში თავისუფალი მიწები, ამ მიწებს ადგილობრივ გლეხს არ აძლევს და ცდილობს რუსეთის შუა გულიდან ხალხი აქეთ გადმოასახლოს... რუსეთის მემარჯვენე ელემენტები მთავრობის ასეთ პოლიტიკას თანაუგრძნობენ, ტაშის-კვრით და ვაშას ძახილით ეგებებიან მის ყოველ ახალ განკარგულებას, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება ქართველების შევიწროვება.

ქართველი მუშა იდევნება, იდევნება ქართველი მღვდელი, იდევნება სახელმწიფო სამსახურში ქართველი მოხელე, იდევნება ქართული ენა, ქართველი ერის და მის ეროვნულ იდეალების ხსენება მემარჯვენეთა აზრით დიდი პოლიტიკური ბოროტმოქმედებაა, გარეშე ძალა ებრძვის ქართველობას და მის განადგურებას, სამუდამოთ მოსპობას ლამობს.

როდესაც ციება მაწუხებს, ციების წამალი უნდა დავლიო, ხელი თუ გავიჭერი, შესაფერი წამალი არის საჭირო, ციების წამალი ამ ჭრილობაში რას მარგებს, ყოველ სნეულებას თავისი მოვლა უნდა, თავისი წამალი...

ასეა ხალხის ცხოვრებაშიაც. როდესაც ეროვნულად გვდევნიან, როდესაც ჩვენი ეროვნების მოსპობას ცდილობენ, ხელი უნდა გავანძრიოთ, სწორედ ეროვნულ ინტერესების დაცვას უნდა ვეცადოთ, ეროვნულ მიმართულებას დავადგეთ. ვერც სოციალისტობა, ვერც მუშათა კლასსის იდეალები, ვერც პროლეტარიატის ხსნება ამ საქმეს ვერ არგებს და ჩვენს ეროვნულ შევიწროვებას ვერ მოსპობს.

დეე, მუშათა კლასსი ნუ დაივიწყებს თავის განსაკუთრებულ იდეალს, დეე, გლეხობამ ბრძოლა დაიწყოს მიწის მოსაპოვებლად, დეე, ბურჟუამ თავისი ბურჟუაზიული პოლიტიკა აწარმოვოს,—ეს მუშა, ეს გლეხი და ეს ბურჟუა ყველა ერთსა და იმავე ტაფაში იწვის, თავიანთ კერძო, განსაკუთრებულ იდეალს გარდა მათ ყველას ერთი უბედურება აერთებს,—ეროვნული შევიწროვება.

როგორც სხვა და სხვა მუშას თავისი საკუთარი, განსაკუთრებული საჭიროება აქვს, მაგრამ ამ სხვა და სხვაობის მიუხედავათ ყველა ერთსა და იმავე საერთო იდეალს ისახევს,—ისე ერის სხვა და სხვა ნაწილს თავისი საჭიროება აწუხებს,—მაგრამ ყველას აკავშირებს და აფოლადებს ის მიზანი, რომლის მიღწევა ყველასთვის საჭირო არის, ის აზრი, რომელიც ყველას გულს თანასწორად აძგერებს,—ეროვნული თანასწორობა.

ამ ეროვნულ თანასწორობას ვერ მივაღწევთ, სანამ პრაქტიკულად არ შეკავშირდება ყველა მიმართულების პარტია საერთო მიზნისთვის. როგორც სხვა და სხვა დაწესებულებაში სხვა და სხვა პარტიის წევრები ერთად მოქმედობენ, მაგ. სახალხო უნივერსიტეტში, წ.-კითხვის საზოგადოებაში და სხვა, ისე აქაც, ეროვნულ თანასწორობისათვის ბრძოლაში შეუძლია ადვილად შეერთება ყველა პარტიას, რადგანაც ეს ეროვნული თანასწორობა ყველა პარტიისათვის საჭირო და აუცილებელი რამეა.

რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს შეერთება, რანაირად შეუძლია უკიდურეს მემარცხენეს ერთად მუშაობა იმასთან, ვისაც უკიდურესი მემარცხენეობა ქვეყნისთვის მავნებელი ჰგონია?

ჩვენ გვგონია, რომ ეს შეერთება შეუძლებელი არ არის, საჭიროა მხოლოდ

თანამედროვე ცხოვრების დაკვირვება: შორეულ იდეალების ქვრეტით ცხოვრების დღევანდელი ვარამი არ უნდა დავივიწყოთ.

ავიღოთ მიწის საკითხი: უკიდურესი მემარცხენე და ბურჟუაც **ჩვენში** თანასწორად ადგია იმ აზრს, რომ გლეხს მიწა სჭირია, მაგრამ როგორ იშოვნოს ეს მიწა გლეხმა?,—აქ თავს იჩენს სხვა და სხვაობა, ზოგი მუქთად დასაკუთრებაზე ოცნებობდა, ზოგი კიდევ მიწის გამოსყიდვას სთვლიდა სასურველად,—ადგილობრივი პარტიები ერთმანეთს დაეტაკნენ, ადგილობრივი გლეხი გადაემტერა ადგილობრივ მემამულეს, ამით ისარგებლა გარეშე ძალამ და გარედან მოსულ რუს გლეხობისათვის მიწების ხელში ჩაგდება დაიწყო.

ამითი იღუპება ადგილობრივი გლეხი, იღუპება ადგილობრივი მემამულეც,—იღუპება ერი, რადგანაც გარეშე ელემენტების გაძლიერებას ქართველების ზედმეტი შევიწროვება მოჰყვება. ადგილობრივ შეთანხმებით, გადამტერების მაგივრად მოლაპარაკების გამართვით კი საქმე სხვანაირად გადაწყდებოდა, გლეხს მიწა მიეცემოდა, ეს მიწა ქართველების ხელში დარჩებოდა და მომავლისათვის მაინც ეროვნულ დაჩაგვრისათვის ახალი ნიადაგა არ მომზადდებოდა.

ავიღოთ სხვა მაგალითი,—მუშათა საკითხი, აქაც არ მოიძებნება ადამიანი რომელსაც მუშებისათვის მათი მდგომარეობის გაუმჯობესება შურდეს, მაგრამ მხოლოდ სურვილი არ კმარა, ვაჭრობა და მრეწველობა მსოფლიო ბაზარზე და ადგილობრივ ბაზარზეა დამოკიდებული, წარმოების ხარჯები ერთ ადგილას ვერ შეიცვლება ისე, რომ სხვა ადგილას უცვლელად დარჩეს; დღევანდელ პირობებში წარმოების ხარჯები ვერ შეიცვლება, თუ არ შეიცვალა ნაწარმოებს ფასი,—ამიტომ ყოველი ცვლილება წარმოებაში შეიძლება მხოლოდ თან და თან მოხდეს შეუმჩნევლად,—ამიტომაც, როდესაც ჩვენში მუშებმა თავიანთ მდგომარეობის **ერთბაშად** შეცვლა მოინდომეს, ეს ცვლილება ასე ადვილი მოსახერხებელი არ იყო,—სურვილი არ კმაროდა, საჭირო იყო ცვლილების შემოსატანად გარეშე პირობები,—ვაჭრობა-მრეწველობის აყვავება, ვაჭრობა მრეწველობაში მეტი მოგების შემოტანა, რომ ამ მეტი მოგების ერთი ნაწილი მუშებსაც რგებოდათ.

ამ გზაზე დადგომა არ ისურვეს ჩვენებურებმა, ადგილობრივი მუშა დაეტაკა ადგილობრივ მწარმოებელს, მას ისეთი მოთხოვნები წამოუყენა, რომლის ასრულება შეუძლებელი იყო; ბრძოლა გამწვავდა, ამ ბრძოლის გამწვავებას ხელს უწყობდენ „მუშათა ინტერესების“ დამცველები,—შედეგი: ადგილობრივ ვაჭრობა-მრეწველობის კრიზისი, უმუშევართა რიცხვის ზრდა, ადგილობრივ მუშებისაგან ადგილების დაკარგვა,—გარეშე ელემენტის გაძლიერება, გარედან შემოსულ მუშების ჩაყენება საქმეში, გარედან საქონლის შემოტანა,—ჩვენი უბედურება და სხვისი სიხარული.

აქაც შეერთებულის ძალით შეიძლებოდა მეტ საქმის მოწყობა, მუშა ებრძვის მწარმოებელს, მაგრამ ამ ბრძოლას ისეთი გამწვავება არ უნდა მოჰყვეს, როგორიც ჩვენში იყო. ადგილობრივ მუშას ადგილობრივ მწარმოებლისათვის ხელი რომ შეეწყო და მისი წარმოება გაემაგრებინა, თვით მუშის მდგომარეობის გაუმჯობესებაც გაადვილდებოდა. როგორც ამა თუ იმ საზოგადოებაში სხვა და სხვა პარტიის წევრი ცდილობს თავის პარტიას მიანიჭოს გამარჯვება, მაგრამ მანამდის თვით საზოგადოების გაძლიერებაზედაც ზრუნავს, ისე წარმოებაში მუშას და მწარმოებელსაც უნდა მეტი მოგება, მაგრამ ორივემ თვით წარმოების გაძლიერებაზე უნდა იზრუნოს, თორემ, წარმოება თუ დაიღუპა, მკვდარი საქმე არც მწარმოებელს არგებს და თვით მუშასაც ვერაფრით ასარგებლებს...

დროა დავანებოთ თავი ერთმანეთის ჭამას და ერთმანეთის ცალუპვას, დროა აიხილოს თვალი ყველამ და დაინახოს, რომ,—ერთმანეთის წინააღმდეგობა თუ გვაქვს,—კიდევ უფრო მეტი წინააღმდეგობა გვაქვს სხვებთან, საჭიროა შინაურ ბრძოლის გამო არ დავივიწყოთ გარედ ბრძოლა და გარეშე მტერს ერთმანეთის დალუპვით გამარჯვება არ მივანიჭოთ.

**კ. თუმანიშვილი.**

---

## ჩ ე მ ი დ ღ ი უ რ ი

რუსეთის ცხოვრება იმდენად შევიწროვებულია ადმინისტრაციის სხვა და სხვა განკარგულებით, რომ არ შეიძლება იქაურ საზოგადოების გულის თქმა გავიგოთ იმის შესწავლით, რაც ცხოვრების ზედა პირზე სჩანს... პრესსა დღესაც კიდევ ადმინისტრაციის ბრძანებლობას განიცდის,—ციმბირში, მაგალითად, ერთი გაზეთი ჯარიმით დასაჯეს იმიტომ, რომ მისმა კორესპონდენტმა ერთ რომელიღაც კრების ამბავი სრულის სისწორით ვერ ასწერა,—ეს კრება კერძო საზოგადოების კრება იყო და ამიტომ ადმინისტრაციისაგან მის ინტერესების ასეთი დაცვა, რასაკვირველია, გაუკვირდება ყველას, ვინც არ იცის, რომ ადმინისტრატორიც ადამიანია, რომ მასაც აქვს თავისი სისუსტე, თავისი სიმპატიები და რომ კერძო დამოკიდებულებას ხშირად მეტი მნიშვნელობა აქვს მისთვის, ვიდრე სახელმწიფოს იდეებს და მთავრობის ან ხალხის ნამდვილ საჭიროებას...

პრესსა ცხოვრების სარკეა და რაკი ეს სარკე დაბურულია, ამიტომ რუსეთის ცხოვრებაც ჩვენთვის რამოდენიმედ მაინც დაფარულია...

რამოდენიმედ... სრულად მისი დაფარვა ადმინისტრაციასაც არ შეუძლია... ის დრო წავიდა, როდესაც შეიძლებოდა ადამიანის სრული დამუნჯება,—უკანასკნელ წლების ამბებმა შესაძლოდ გახადეს სიმართლის ფრთხილად მაინც გამოთქმა და ეს სიმართლე იმდენად შემაძრწუნებელია, რომ დაფარულ-დაბურულიც გარეთ გამოსჭვირს და მოსჩანს...

უკიდურეს მემარჯვენეთა ნამდვილ სულის კვეთებას აქ დახასიათება არ სჭირია, მკითხველებმა იციან, რა სურთ, რას ელტვიან დუბროვინ-პურიშკევიჩ-ვოსტორგოვები, მკითხველი თავის თავად მიხვდება, რას ნიშნავს ამ პირთა და მათ მიმდევართა გაბატონება და რისი იმედი უნდა გვქონდეს ჩვენ იქ, სადაც ამ ვაჟბატონებს უფლება და უპირატესობა ეძლევათ...

დუბროვინმა, გაზეთების ცნობის, ამას წინეთ ისევე აღძრა შუამდგომლობა ხელმწიფის წინაშე რამდენიმე მემარჯვენე პაგრომშჩიკების პატიებაზე და მიიღო კიდეც მათთვის ეს პატიება. ეპ. კირიონს სჯიან, არხ. ამბროსის ჩრდილო მონასტერში გზავნიან, კერძო კრებაზე საეკლესიო საკითხებზე სიტყვების წარმოთქმისათვის საზოგადოებაში ცნობილ პირებს აპატიმრებენ, იდეას ებრძვიან ისე, თითქო ეს იდეა სისხლის მღვრელი და ავაზაკი რამ იყოს, ბოროტმოქმედებათ სთვლიან მემარცხენე, ოპოზიციურ ყოველ ფეხის გადადგმას, და ამავე დროს სასამართლოსაგან გადაწყვეტილ სასჯელის პატიებას ითხოვენ მემარჯვენე ავაზაკებისათვის...

... ეს ფაქტი ნათლად ამტკიცებს დუბროვინის ძლიერებას მთავრობის წრეებში, დუბროვინისთანა პირების პარპაშს, ახასიათებს მთავრობის გულის თქმას და მის სიმპატიებს ამჟღავნებს...

პურიშკევიჩიც ამ კვირეს გამარჯვებულია... მისიანი გაზეთი „კოლოკოლი“ სინოდს განსაკუთრებით შეჰყვარებია. სინოდის უკანასკნელ კრებაზე ობერ პროკურორის თანაშემწემ როგოვიჩმა განაცხადა, რომ სინოდის შესახებ ცნობები უთუოდ „კოლოკოლში“ და მხოლოდ ამ გაზეთში უნდა დაიბეჭდოსო. ამ გაზეთის რედაქტორი ძალიან გულ ნაწყენი არისო, სთქვა როგოვიჩმა, რომ მას ეს უპირატესობა ერთმევა, რადგანაც სინოდის ზოგიერთი წევრი სხვა გაზეთების თანამშრომლებს აწვდიან სინოდის ცნობებს. ამ მაღალმა სასულიერო დაწესებულებამ გადაწყვიტა მის წევრებს აეკრძალოს სხვა გაზეთების თანამშრომლებთან ლაპარაკი სინოდში გადაწყვეტილ საქმეების შესახებ.

ვოსტორგოვიც ხომ ფართაშობს... ციმბირში რევიზორად გაგზავნეს,—იქ სამრევლო სასწავლებლების რევიზია აკისრეს, მაგრამ ვოსტორგოვი რისი ვოსტორგოვი იქნებოდა, რომ ნაკისრებ საქმის ფარგალში დატეულიყო და ფართე პოლიტიკურ საკითხებისთვის ხელი არ ეხლო. ციმბირში მან შიდა რუსეთიდან გლეხების დასახლების საქმეს დაუწყო რევიზია და განაცხადა, ეს დასახლება ძალიან რიგიანად სწარმოებსო. აქ ჩამოსული გლეხები კმაყოფილნი არიან ყველაფრით და ამიტომ თავიანთ სამშობლოში, ე. ი. შიდა გუბერნიებში დაბრუნებას არ აპირებენო. თუ გავიხსენებთ იმას, რომ ეს ვოსტორგოვი ჩვენშიაც შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლების მომხრე იყო, რომ ციმბირშიაც გადასახლებულებისათვის იმ მიწას იღებენ, რომელიც მკვიდრ ხალხისათვის აუცილებელი საჭიროა, რომ გადმოსახლების პოლიტიკა განაპირა ადგილებში მცხოვრებ მკვიდრთა საწინააღმდეგო პოლიტიკაა, ჩვენ ადვილად გავიგებთ, რად ეხალისება ეს საქმე ვოსტორგოვს და რას ნიშნავს ვოსტორგოვისთანა პირების ამ საქმესთან დაახლოვება... ახლანდელ პოლიტიკის მიმართულების გაგება ძნელი არ არის.

ეს მიმართულება ჩვენშიაც სჩანს. ეპისკოპოზ კირიონის და არხიმანდრიტ ამბროსის დასჯის მიზეზი ხალხმა დღესაც არ იცის, არ იცის ხალხის სვინდისმა აგრეთვე რამდენად დამნაშავენი არიან ის ქუთაისლები, რომლებიც ქუთაისის გენ.-გუბერნატორის განკარგულებით დაატუსაღეს, რამდენად საშიშია სახელმწიფოს არსებობისათვის ორიოდე პირის ლაპარაკი საეკლესიო საქმეების შესახებ.

როგორც რუსეთში ერთის მხრივ პარლამენტი არსებობს, სათათბიროს მთავრობის კრიტიკას აცლიან, საკონსტიტუციო სახელმწიფოს სახეს იღებენ, მაგრამ ამასთან ერთად დუბროვინ-პურიშკევიჩ-ვოსტორგოვებს აწინაურებენ, ისე აქაც, ჩვენშიაც ნამესტნიკის კეთილ გულს და ხალხისათვის კეთილის სურვილს გვერდში უდგას კირიონ-ამბროსი-ქუთაისელების საქმე... საჭიროა საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ ორმაგობას, რადგანაც ხშირად სურვილსა და გულს ნაკლები მნიშვნელობს აქვს, ვიდრე საქმეს და, საქმე ხალხისთვის საზარალო თუ არის, კეთილი გული ვერას არგებს,—კეთილი საქმე გვჭირია და ამ კეთილ საქმეს ქართველი საზოგადოება დღესაც კიდევ ისევე ელის, როგორც ამ ასი წლის განმავლობაში ელოდა.

. . ეს კეთილი საქმე მას არაოდეს არ ეღირსება, თუ საზოგადოებამ არ ისწავლა თავის თავის პატივისცემა და საკუთარ ღირსების დაცვას მეტი ყურადღება არ მიაქცია.

Сხვა ვინ იტკივებს თავს ჩვენთვის, თუ ჩვენ თვითონ გულ გრილად შევხედავთ ყოველ სიავეს და ხმის ამოღებასაც ვერ გავბედავთ ან არ მოვისურვებთ იქ, სადაც ჩვენის ღრმა რწმენით იჩაგრება სიმართლე და ბოროტება ბატონობს, თუ ვერ გავბედეთ და არ მოვისურვეთ შეთანხმებული მოქმედება, საერთო ძალით ამა თუ იმ მიზნის მიღწევა და ლაჩრად, უგულოდ, უაზროდ და უიდეალოდ თუ დავუხვდით ყოველ ბოროტებას ან უბედურებას, რომელიც თავზე დაგვატყდება ჩვენ და ჩვენს ეროვნულ არსებობას ძირის გამოთხრას დაუწყებს...

**მეთვალყურე.**

---

## რ უ ს ე თ ი

რამდენად გამეფებულია თვითნებობა იმ პირებშიაც, რომლებიც მთავრობასთან ახლო დგანან, ნათლად ამტკიცებს რკინის გზის მინისტრად ნამყოფ გენ. შაუფუსის ამბავი. კანონით რკინის გზის მინისტრს ყოველწლიურად ეძლევა ბილეთი რუსეთის და საზღვარ გარეთის რკინის გზებზე უფასოდ სავლელად, ამ ბილეთში იხსენიება მხოლოდ მინისტრის თანამდებობა, მინისტრის გვარი კი ჩაწერილი არ არის და, როცა მინისტრი იცვლება, ახალ მინისტრს შეუძლია ამ ბილეთით ისარგებლოს ისევე, როგორც მისი მოადგილე სარგებლობდა. გენ. შაუფუსმა თანამდებობას თავი რომ დაანება, სამინისტრომ მას უფასო ბილეთის დაბრუნება მოთხოვა, მაგრამ შაუფუსმა ეს მოთხოვნა არაფრად ჩააგდო მხოლოდ 1907 და 1908 წლების ბილეთები დააბრუნა, 1909 წლის ბილეთი კი შეირჩინა და ამ ბილეთით საზღვარ გარეთ წასვლაც კი იკადრა. ახლანდელი რკინის გზის მინისტრი რუხლოვი კი ამნაირად უბილეთოდ დარჩა და კიდევ ვინ იცის, როდის მიიღებს შაუფუსისაგან გატაცებულის სამაგიერო უფასო ბილეთს... როგორც ვხედავთ რკინის გზის მინისტრად ნამყოფ გენ. შაუფუსს გამბედაობა არა აკლდა...

---

არ აკლია გამბედაობა რკინის გზის წრეებში კარგად ცნობილ მეორე გენერალს,—ვენდრიხსაც, რომელმაც ერთ ხანს დიდი გავლენა მოიპოვა სწორედ თავის გამბედაობით და რომელიც უნდა მოიწვიონ რკინის გზის სამინისტროში,

ეს ვენდრიხი ცნობილი იყო იმით, რომ რამე ბრძანების გაცემის დროს სრულებით არ კითხულობდა იმას, შესაძლებელი იყო ამ ბრძანების ასრულება თუ არა. ერთხელ მაგ. რომელიღაც სადგურზე ბევრი ვაგონი შეგროვდა და ამით მატარებლების მიმოსვლა ოდნავ შეჩერდა. გენ. ვენდრიხმა ბრძანება გასცა—ასი ვაგონი ხრამში გადაეგდოთ და ამით მატარებლებისთვის თავისუფალი გზა გაეხსნათ. რკინის გზებზე წესად არის რომ სადგურიდან მეორე მატარებელს არ გაისტუმრებენ, სანამ პირველი მატარებელი შემდეგ სადგურამდის არ მივა. ვენდრიხმა მიმოსვლის დასაჩქარებლად ბრძანა ზედი ზედ გაესტუმრებიათ მატარებლები,—ამით პირველად ოდნავ დააჩქარა მიმოსვლა, მაგრამ შემდეგ რამდენჯერმე რომ დაეჯახნენ ერთმანეთს მატარებლები, დაჩქარების მაგივრად მიმოსვლის შეჩერება გახდა საჭირო...

ესევე ვენდრიხი ცნობილია აგრეთვე თავის წინადადებით რკინის გზის მოსამსახურეებად მხოლოდ მემარჯვენე რუსები მიღონ ხოლმე, რომ ამით მთავრობა და ყოველივე გაფიცვებისაგან უზრუნველყოფილიყოს გენ. ვენდრიხი ამტკიცებდა, რომ არა რუსს სახელმწიფო სამსახურში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, გენ. ვენდრიხი იყო და არის ყოველ არა რუს ეროვნების მტერი და ეს გენ. ვენდრიხი ახლა უნდა მიიწვიონ სამინისტროში, მას თანამდებობა და უფლება უნდა მისცენ, მის ხელში ჩააგდონ ჩვენი ბედი და იღბალი...

---

ეს ბედი და იღბალი მაინც განსაცდელშია. რუსეთის პრესსაში თვით ოპოზიციის ზოგიერთმა წევრმა აღძრა ლაპარაკი იმაზე, რომ რუსობას რუსეთში განსაკუთრებული უფლებები უნდა ჰქონდეს. თვით ოპოზიციის წევრები ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ ეროვნებათა სრული თანასწორობა უნდა დამყარდეს რუსეთში, რომ ამ სახელმწიფომ ისეთი სახე უნდა მიიღოს, რომელიც ეროვნებათა თანასწორობას უზრუნველ ჰყოფს. როგორი იქმნება ეს სახე, ემგვანება იგი ამერიკის შეერთებულ შტატებს, თუ სხვა რამე ახალ წესწყობილებას შეჰქმნის რუსეთი,—არ ვიცით, ეს საკითხი ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის და ვერც იქმნებოდა გამორკვეული, რადგანაც რუსი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ყოველთვის გაურბოდენ ეროვნულ საკითხის გარკვევას, თვით უკიდურესი მემარცხენენიც კი საკმარისად სთვლიდენ თვითგამორკვევის პრინციპის უბრალო წამოყენებას...

ამიტომ ახლა რუსეთის პრესსაში ეროვნულ საკითხზე თუ დაიწყეს წერა, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რადგანაც ამ წერას ახალ აზრების გამოთქმაც მოჰყვება, პოლემიკაში თან და თან გაირკვევა რუსეთის მომავალი წესწყობილების გარეგანი სახე, თან და თან შეეჩვევა რუსეთის საზოგადოება იმ აზრს, რომ რუსეთში მხოლოდ რუსობა არ ცხოვრობს, რომ არა რუს ერებსაც უფლება აქვთ სახელმწიფოში ხმა იქონიონ და თავიანთი შინაური საქმეები თავის ნებაზე მოაწყონ.

ჩვენ, პატარა ერებისათვის, ამ აზრის განმტკიცებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მან უნდა მოსპოს ეროვნული ბრძოლა, რომელიც ჩვენგან მრავალ მსხვერპლს მოითხოვს და რომელიც ჩვენ კულტურულ განვითარების საშუალებას არ გვაძლევს.

**ქართველი.**

---

## ქ ა რ თ ლ შ ი

ჩვენ უკვე დავპირდით მკითხველებს ქართლის ამბებს და ახლა ვაწვდით ხრონოლოგიურად დალაგებულ მოძრაობის მოთხრობას, რაკი მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და ამ ამბების დაბეჭდვას თავად აზნაურებში და გლეხებში დამოკიდებულების გამწვავება არ შეუძლია.

**აგრარული მოძრაობა ზემო ქართლში.**

### I

1905 წ. **იანვარი**. მითქმა-მოთქმა დაიწყო, რომ ამა და ამ სოფელში მოქადაგეები იყვნენო, ამა და ამ სოფელში ღამე ხალხს ყრილობა ჰქონდა და მოქადაგე უქადაგებდაო.

**თებერვალი**. სოფ. ფცაში გადასწვეს თ-დ. დ. ა. ბ.-ს სახლ-კარმიდამო. შემდეგ გამოირკვა, რომ ცეცხლი შიგნიდან მოჰკიდებოდა, თავადის ჩაჩანმა თოფის სროლა დაიწყო, სოფელი მოვიდა გასაქრობათ, ჩაჩანმა არ მოუშვა.

სოფ. ნ-ში წავიდნენ ლალებზედ თ-დ. ს. ი. და ნ. ფ-ბი. არ შეუშვეს სოფელში, შეტაკება მოუხდათ და გამორეკეს,

---

**მარტი**. დაიწყო გაზაფხული და მოჰყვა სტიქიური აგრარული მოძრაობა სოფელში 1 მარტს თ-დ. რ. ა-ს სახლს ცეცხლი წაუკიდეს, მაგრამ დროზედ გაუგეს და გადაარჩინეს.

სოფ. ა-ოში თ-დ. ნ. ბ. მიუხტნენ გლეხები კეტებით, ქვებით და ყვიროდნენ „გაუმარჯოს ერთობას“, აქაური გლეხები რომ არ გასჩენოდენ, უბედურობა დატრიალდებოდათ.

**სოფ. თილვაში 6 მარტს** რამდენიმე სოფელი ერთად შეიყარა, თილვის სობოროს გალავანში დიდი ყრილობა მოხდა, დაესწრო 500-600 კაცამდის, გამოიყვანეს ღვდელი თავის სახარებით ხელში, შეჰფიცეს ერთმანერთს და დაადგინეს. 1) ღვდლისა, მამასახლისისა და ქსენონის გადასახადები აღარ გაიღონ, 2) მამული, ტყე საერთოდ გამოაცხადეს და 3) სასტიკი ბოიკოტი გამოუცხადეს თა-დ აზნაურობას.

ამის შემდეგ ყველას მოჯამაგირეები გაურეკეს და ვისაც მუშები ჰყავდა დაკვეთილი, აღარ ეხმარებოდენ; გარდა ამისა ყოველივე მუშა აჰკვეთეს, ყოველივე გადასახადი ხიზნებისა და დროებით ვალდებულ გლეხობისა: მუშის ფული, ტყის ფული, ლალები, ვიზედაც რაიყო დარჩენილი, ერთი სიტყვით, თ-დ—აზნაურობას, რითაც კი სახსარი ჰქონდა ცხოვრებისა, ყველა მოუსპეს.

8 **მარტს** სოფ. ატოცში მამასახლისს ხალხმა ჯაჭვი აჰყარა, კანცელარიის კარები დალურსმა და ამოირჩიეს თავიანთ შორის ათის თავები და ასის თავები; ბ—ებს პურის მცხობლები არა ჰყავთ, გამომცხვარს გორიდან ეზიდებიან.

სოფ. ა-ში, ბ-ში. ს-ში თა-დ.-აზნაურობას გამოუცხადეს: მოჯამაგირეებთან ანგარიში გაასწორონ და დაითხოვონ.

შიშის ზარმა მოიცვა ყველა, ყოველსოფელში მოძრაობაა, ყრილობებია, თითქმის აღარავინ მუშაობს, დადიან აგიტატორები და ხალხს უფრო აღელვებენ.

11 **მარტს** მთავარ მმართებლის განკარგულებით დაინიშნა კომისია ხალხის დასამშვიდებლად, სოფ. **ხაშურში** დაიბარეს ოქონის, ატოცის, ალის და დირბის საზოგადოებები. არ წავიდნენ — „თუ საქმის გაგება უნდა ადგილობრივ მოვიდნენო“, გაიძახოდნენ,

მეორე დღეს ხალხის სურვილით ხელახლად გომში დაიბარეს ყველანი, თა-დ-აზნაურობიდანაც იყვნენ დაბარებულნი, გლეხობა ოქონისა და ატოცის საზოგადოებიდან ძალიან ცოტა დაესწრო, სხვა მხრიდან ბლომად იყო თავ-მოყრილი სად. გომში. ყველა მხარემ თავისი მოთხოვნილებანი წარუდგინა კომისიას, სხვათა შორის ფრონის ხეობამ-ოქონის საზოგადოებისამ შემდეგი მოთხოვნილებანი წარადგინა:

1) ნადელები უნდა მოგვეცეს უსასყიდლოთ და მებატონეები ხაზინამ დააკმაყოფილოს.

2) რაც ნადელ-გარეთ მებატონეები ფლობელობენ და თითონ არ ხნენ, ჩვენ მოგვეცეს, ე. ი. ყოველ იმ მცხოვრებელს, რომელ სოფელშიაც არის ნადელ-გარეთ მამულები, მიეცეთ იმ სოფლის მცხოვრებლებს და ღალა იხადონ ერთი მეათედი.

3) ტყიდან ძირ-ნაყარი უსასყიდლოთ უნდა გვეძლიოს და, რაც შეეხება ხეტყის მასალისა დაკლებულის-ფასებით უნდა ვისარგებლოთ.

4) საძოვარი და საწყლიპირო უნდა იყოს საერთოდ ყველასათვის განურჩეველად უფასოთ.

5) ჩვენგან დაყენებული მამასახლისები სულ მთავრობას უნდებიან და ჩვენ არას გვპატრონობენ, ამიერიდან მოისპოს მაგისთანა მამასახლისები.

6) ვთხოულობთ, რომ ღვდლებს მოესპოთ დრამები და მის მაგიერ დაენიშნოთ მთავრობისაგან ჯამაგირები, ამასთანავე ვისაც როგორც შეეძლება ჯვრის წერის დროს, ან მიცვალებულის დროს, ისე დააკმაყოფილოს ჩვენგანმა ღვდლები, ე. ი. ჯვრის საწერი სამს მანეთს არ უნდა აღემატებოდეს და მიცვალებულისა—მანეთს.

7) მამასახლისის ფულს ვხდილობთ აგერ ოცი წელიწადია და არ ვიცით, სად მიდის ეს ფული, არც კვიტანციებს გვაძლევენ, არც ჩვენ გაჭირვების დროს ხელს გვიმართავენ, ამის გამო ვ ხოულობთ ეს საქმე მოწესრიგდეს.

8) საავადმყოფო უნდა იყოს რიგიანათ დაყენებული და უსასყიდლოთ გვპატრონობდეს.

9) დაგვიარსეთ შკოლები, ყველაზედ უკან ჩვენა ვართ ჩამორჩენილი.

10) ადგილობრივ სასამართლოებში საქმეების გარჩევა ჩვენს ენაზედ უნდა სწარმოებდეს.

11) ჩვენი სალდათები შორს ცივ ქვეყნებში ნუ მიჰყავთ, ჩვენს ქვეყანაში დაგვიტოვეთ.

12) ვთხოულობთ რომ სახელმწიფო გადასახადი გასწორდეს და გაიწეროს მიწის რაოდენობაზედ შემოსავლის მიხედვით.

13) მოისპოს „სტრაჟნიკები“.

14) მოისპოს ცემა-ტყეპა, მოხელეები და მებატონეები მოგვექცენ ზდილობიანათ, ჩვენც ჩაგვთვალონ ადამიანებათ, პირუტყვები არა ვართ.

15) მოგვეცეს ნება თავისუფლათ სჯაბაასისა და კრებებისა.

16) გზების გაკეთებაში, ამასთანავე სოფლის სხვა და სხვა მოთხოვნილებაში მებატონეებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა.

17) მებატონეებს ჰყავთ გაშვებული ცხენები და საქონელი,—ჰყანებულს გვიხდენენ, ვენახებს გვიოხრებენ, ამიერიდგან მოისპოს და ნება არავის ჰქონდეს წლითი-წლამდის საქონლის გაშვება უმწყემსოთ.

18) სხვა ყოველივე წვრილმანი გადასახადები მებატონეებისა, მოხელეებისა და ღვდლებისა უნდა მოისპოს.

19) მოგვისპეთ აქციზი ჩვენს პირველ საჭირო ცხოვრების მოთხოვნილებაზედ ე. ი. ნავთზედ, მარილზედ, შაქარზედ, ფართალზედ და ჩვენც შეგვეძლოს ამებით სარგებლობა.

კომისიამ ყველასაგან მოისმინა მოთხოვნილებანი სიტყვიერათ და წერილობითაც.

ამასთანავე კომისიამ ცალკე ოთახში თავ-და-აზნაურობას შეეკითხა:

— თქვენი აზრი გვინდა გავიგოთ, რა საშუალებით შეიძლება, რომ ხალხი დავამშვიდოთ და მოისპოს არეულობა?

ზოგმა უჩვენა ადმინისტრაციის უვარგისობა, ზოგმა რეპრესიები ურჩია, ბევრნი ერთმანერთს ერიდებოდნენ, რომ გამოეთქვათ თავიანთი აზრი სასტიკ ზომების მიღებაზედ.

ერთმა წარმოსთქვა:

— რადგანაც გინდათ გაიგოთ ჩემი აზრი ამ არეულობის შესახებ, მხოლოდ ერთის საშუალებით შეიძლება მათი დამშვიდება: დაუყოვნებლივ დროებით ვალდებული გლეხნი უნდა განთავისუფლდნენ ბატონყმურ ნაშთისაგან და ნადელები უსასყიდლოთ მიეცეთ, ამასთანავე ხიზნებსაც უნდა მიეცეთ მამული, რაზედაც მოსახლეობენ, მათზედ მამულს გადაცემა უნდა შეიმუშაოს აგრარულ კომისიებმა, რომელნიც სიჭიროა შესდგეს დაუყოვნებლივ.

რადგან ფრონის ხეობიდან ძალიან ნაკლებ დაესწრო საზოგადოება და ამასთანავე გლეხები თხოულობდენ ადგილობრივ კომისიის მისვლას, კომისიამ დანიშნა წასვლა სოფ. კნოლევში.

Legatus

(შემდეგი იქნება)

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება

შაბათს, 21 მარტს საღამოს მოხდა თავ.-აზნ. საგანგებო კრება. კრება გახსნა 8 ნახევ. საათზე მარშალმა თავ. პ. ი. თუმანიშვილმა. თავად-აზნაურობა 100-ზე მეტი დაესწრო. უცხო პირნიც მრავლად იყვნენ. წაკითხულ იქმნა ამავე თავად-აზნაურობის 12 და 22 თებერვლის კრებების ოქმები, რის შემდეგაც თავმჯდომარემ სესხის აღების საკითხზე გადასვლა სთხოვა საზოგადოებას.

**გ. ა. ყარანგოზიშვილი.** მე არ მესმის თქვენი ქცევა. 22 თებერვალს ჩვენ კრება იმისათვის გადავდეთ და დღეისათვის დავნიშნეთ, რომ მოგვეხსენებინათ ჩვენთვის, რისთვის და როგორ დაიხარჯა თეატრზედ 350,000 მანეთი, ამაზედ არაფერს არ გვეუბნებით და ახლა გვიდგენთ მოხსენებას, რომლითაც კიდევ 600,000 მანეთს ითხოვთ. რაში ხართ სანდო, რომ ფული კიდევ მოგცეთ და თავ. აზნ. დავღუპოთ.

**თავმჯდომარე.** სატეხნიკო კომისიამ ვერ შეასრულა ჩვენი მონდობილობა, რადგანაც არხიტექტორმა ტერ-სარქისოვმა საჭირო ცნობები არ მისცა და მგონი შემდეგშიაც არ მისცეს. ასე რომ ამას თუ ვუცადეთ, არავითარი ახალი საქმე აღარ გაკეთდება.

**კ. ი. სვიმონოვი.** როგორ უნდა გენდოთ დღეს, როდესაც იმ 400.000 მანეთშიაც ანგარიშს არ გვაძლევთ. იქნება ეს ფული სულ გადაყარეთ და ამას იქით სანდონი არა ხართ. ამაში ანგარიშის მოცემა იმიტომ უფრო არის საჭირო, რომ მომავალ მაისში თქვენი არჩევნებია და ისე უნდა მოგექცეთ, როგორც დაიმსახურებთ.

**თავმჯდომარე.** (გაჯავრებული) ნუ თუ თქვენა გგონიათ, რომ ან მე ან ჩემი ამხანაგები ისე გავალთ ამ საქმიდან, რომ ანგარიშს არ მოგცემთ, გავალთ-ანგარიშს მოგცემთ, აგვირჩევთ—მაინც ანგარიშს მოგცემთ, ამაში პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

**გ. ა. ყარანგოზიშვილი.** ანგარიში დღეს უნდა მოგვცეთ. მთელ ქალაქში, პროვინციებში, ბულვარზე და ყველგან ჩვენი ფულის გადაყრაზე ლაპარაკობენ. თავად.-აზნ. აუარებელი ქონება სულ გავფლანგეთ და ახლა არაფერი არა გვაქვს რა.

**გ. რ. ამილახვარი.** აქ თქვენ დიდ ბრალსა სდებთ ჩვენგან არჩეულ პირებს, ეს მოსათმენი არ არის. თუ არის დანაშაული ამ ფულის დახარჯვა, ეს დანაშაული თქვენივე ბრალია, ყოველი ხარჯი თქვენ დაადასტურეთ, ყველა გადაწყვეტილებაზე ხელი გიწერიათ.

ამ კითხვამ ხანგრძლივი და ცხარე კამათი გამოიწვია. საზოგადოება მოიღალა და შემდეგ გადავიდნენ 600.000 მანეთის სესხების განხილვაზე. მოხსენებიდან სჩანს, რომ თავ.-აზნ. ჰქონია 800,000 მანეთის უძრავი ქონება. წმინდა შემოსავალი უდრის წლიურად 41,000 მან. ქარვასლის, 100,000 მან. ბანკიდან, ქართული თეატრის 2,500 მან., თუმცა კი წინა კრებაზე ანგარიშობდენ 17,000 მან, კიდევ ელექტრონის და სხვა და სხვა შემოსავალი. სულ შემოსავლის ჯამია 160,000 მანეთი თავ.-აზნაურობის ვალი უდრის 400,000 მანეთს (სათ.-აზნაურო, აზოვის და კომერციულ ბანკების). 198,000 მან. სამეურნეო თანხებიც და სათადარიგო თანხაც დახარჯულია.

ამნაირად თავ.-აზნ. ახლა ფული სრულებით არა აქვს. საფინანსო კომისია თავ.-აზნ. ურჩევს სესხათ აიღოს 600,000 მან. ნაღდი ფული 6 პროც. ყველა ვალები გასტუმროს და ალადგინოს დახარჯული თანხები. მისი ანგარიშით დარჩება კიდევ 120,000 მანეთამდის ნაღდი ფული თავ.-აზნ. სხვა და სხვა საჭიროებისათვის. ამ ვალში უნდა აძლიონ წლიურად სარგებელი 36,000 მ. ნ. და 14.000 მანეთამდე ვალის გასასტუმრებლად. სესხის ვადაა 22 წელიწადი. და ამ ვადაში ზემოხსენებულ ვალის ყოველ წლიურად გადახდით ფული გასწორდება. საფინანსო კომისიაში ეს კითხვა გადაწყდა ყველასი ხმით წინააღმდეგ ერთისა, ი. სპ. ჯაბადრისა. მარშ. და დეპუტ კრებაში ეს კითხვა გადაწყდა ერთხმად წინააღმდეგ მ. ტერიევისა. ამ საგანზე კამათმა ღამის $1\frac{1}{2}$ საათამდის გასტანა,.. საზოგადოება მეტად დაიღალა: დასასრულ საკითხს კენჭი უყარეს. 61 ხმის უმეტესობით 13 ხმის წინააღმდეგ გადაწყვიტეს 600,000 მანეთი მოხსენებულ პირობით ქარვასლის გირაოთი აიღონ. კრების გაგრძელება გადადებულ იქმნა ხვალისთვის, 24 მარტისთვის, საღამ. 8 საათ. ამ კრებაზე უნდა გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ განაწილდეს ის ფული, რომელიც ვალების გასტუმრების ზევით დარჩება.

ვურჩევთ თავ.-აზნაურობას ცოტაოდენი თავისუფალი ფული თუ დარჩება, მის დახარჯვას ნუ დაჩქარდებიან, რადგანაც ფულის გადაყლაპვის მადა ყველას გვაქვს გაღვიძებული. კრებას „კახეთის“ მოჯამაგირეებიც დაესწრნენ. ხმები დადის, რომ სესხის აღებას ხელს უწყობდენ ისეთი პირებიც, რომლებსაც შემდეგ ამ ფულით სარგებლობის იმედი აქვთ...

ფულის მოვლა საჭიროა, ფულის დახარჯვა კი ადვილია!

ვნახოთ ხვალ თავად-აზნაურობა რა ხელ გაშლილობას გამოიჩენს...

# ახალი ამბები და დეპეშები

მთავრობა აპირებს გადასდოს 10,000 მან. კავკასიის ქედზე რკინის გზის გამოყვანის გამოსაკვლევად, 25,000 მან. ყარსის რკინის გზის გასაუმჯობესებლად, 16,000 მან. ბორჯომ-ალექსანდროპოლის ლიანდაგის გასაკეთებლად.

✦ ხმა დადის, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის იზვოლსკის ადგილას დაინიშნება ღენ. ენგალიჩევი, რომელიც ინგლისს ემხრობა.

✦ ახერმწიფო საბჭოში საზღვაო შტაბის შესახებ კენჭის ყრის დროს 8 ზედმეტი კენჭი აღმოჩნდა.

✦ ტფილისში ახალი სატუსაღო უნდა აავონ, ხარჯთ აღრიცხვა 700.000 მანეთამდეა.

✦ კვირას, 22 მარტს, ტფ. სამეურნეო ბანკის წლიური კრება მოხდა, კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ალ. ბ. მდივანი. მოხსენებულ იქმნა 1908 წლის ანგარიში საზოგადოება მეთოთხმეტე წელიწადში გადასულა. წევრები ჰყავს 852, საწევრო თანხა უდრის 90.211 მან. სათადარიგო თანხა 12.694 მ. 57 კ., რეზერვის თანხა 2168 მ. 49 კ. საპენსიო ფონდი 1000 მან. ბანკს გაცემული აქვს თამასუქებში 307.617 მ. 50 კ. % ქაღალდებში 90.000 მანეთამდე, სამეურნეო ნაწარმოებში კი მხოლოდ 1165 მ. 85 კ., საქონელში 7981 მ. 96 კ., ბანკის ხარჯია 22182 მ. 52 კ. წმინდა მოგება დარჩა 5381 მ. 77 კ., აქედან 538 მ. 17 კ. და 434 მ. 51 კ., გადადის სათადარიგო თანხაში., გადასახადი მოგებაზე 1124 მ. 59 კ. გასანაწილებელი რჩება 3284 50 კ. დივიდენდი უდრის ყოველ ას მანეთ საწევრო ფულზე 3 მ. 80 კ. ანგარიში დამტკიცებულ იქმნა.

შემდეგ კრებამ განიხილა თხოვნა ბანკის თავმჯდომარეთ ნამყოფის თავ. ვ. ს. მიქელაძისა, რომელიც თხოულობს 1200 მანეთს წლიურ პენსიას, კრებამ ამ თხოვნაზე მიქელაძეს უარი უთხრა. ნაშუადღევის 4 საათზე უნდა მომხდარიყო არჩევანი ბანკის თავმჯდომარისა. ყუთის დადგმის სურვილი გამოაცხადეს თავ. ვ. გ. მაჩაბელმა, თავ. ლ. გ. ჯანდიერმა და სიღნაღის მაზრის მარშალმა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა. არჩევნები საღამოსთვის გადაიდო.

## დაბა-სოფელში

**ს. ბანძა** (სენაკის მაზრა). დღეს, როდესაც ყველა სოფლებში და დაბებში ცდილობენ კულტურული გზით თავიანთი ეკონომიური და სულიერი მდგომარეობა გააუმჯობესონ, ამისათვის ხსნიან სასწავლებლებს სავაჟოს თუ საქალებოს, აარსებენ ბიბლიოტეკა-სამკითხველოებს, კოოპერატიულ დუქნებს, საურთიერთო ბანკს, სამეურნეო ამხანაგობას და სხვა, ბანძაში ამის მზგავსი არაფერი არ ხდება; ბანძის მკვიდრთ და მის ინტელიგენციას (მოწინავე შეგნებულ პირებს) სძინავს. საკვირველია, აქაურ მასწავლებლებს რამ დაუჩლუნგა გონება ისე, რომ არავითარი საზოგადო საქმე მათ არ აინტერესებს, თითქო ისინი არ იყვნენ საზოგადოების წევრნი, მაგრამ, ჰო! საზოგადო საქმეზე ცოტა თავის ატკივება უნდა და უტკივარ თავს აბა რათ აიტკივებენ!

საზოგადოდ ბანძელები, სამწუხაროდ, სწავლა-განათლებას გულ-გრილად ეკიდებიან. აქ დიდი ხანია რაც ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი არსებობს, რომელიც დღემდის ვერ გადაუკეთებიათ ორკლასიანად, თუმცა არა ერთხელ მისცა წინადადება სამოსწავლო მთავრობამ ორკლასიანად გადაკეთებაზე და მასთან აღუთქვა ხაზინიდან შემწეობა. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ბანძელებს შეძლება არა აქვსო, შემცდარი იქნება, თუ „სტრაჟნიკების“ და მამასახლისის შესანახად ორი ათას მანეთს იხდის წლიურად აგერ ორი წელიწადია, ნუ თუ ხუთი-ექვსი წლის უკან ორკლასიანი სკოლის დაარსება არ შეეძლო!? მაგრამ, არა უნდა იყოს სურვილი და შეგნება... არსებობს (დროებით არსებობს თუ სამუდამოთ არ ვიცით, რადგანაც ყოველ წელს ხმებია სხვაგან გადააქვთო) მეორე ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა, მაგრამ ეს სასწავლებელი მოწაფეებით არაა სავსე (თითო მასწავლებლის ათი-თუთხმეტი მოწაფე ყავს) მიზეზი ალლახმა უწყის.

ასეთ დიდ სოფელში ერთი საქალებო სასწავლებელი არ არსებობს, რომელშიაც დიდი მოთხოვნილებაა. საჭიროა გაიხსნას საქალებო სასწავლებელი,—გადაკეთდეს ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი ორ-კლასიანად, გაიხსნას ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

ამ რამოდენიმე თვის უკან ამ სოფელში გაიხსნა დიდი წვალების შემდეგ საფოსტო განყოფილება.

აი ამ საფოსტო განყოფილებამ ცხადად გვიჩვენა, რამდენად შეუძლია რომელიმე პირს საქმის ინიციატორობა, რომელიც ყოველივე საზოგადო საქმეს ესაჭიროება.

საფოსტო განყოფილების დაარსება იკისრა ადგილობრივ მცხოვრებმა იონა გაბუნიამ, რომელმაც დიდი შრომის და ვაივაგლახის შემდეგ მიაღწია მიზანს. ამგვარი ენერგიული ინიციატორი უნდა ყოველივე საზოგადო საქმეს და იგი გაკეთდება.

კარგი იქნება, რომ ბ. ი. გაბუნია ამნაირი ენერგიით შეუდგებოდეს სწავლა-განათლების საქმეს (მაგ. საქალებო სასწავლებლის გახსნას, სამკითხველოის დაარსებას, სასწავლებლის ორკლასიანად გადაკეთებას და სხვა) და დარწმუნებული ვართ, რომ მიზანს მიაღწევს და ხალხიც ბოლოს მადლიერი იქნება მისი.

**მასწავლებელი.**

**დ. აბაშა** (სენაკის მაზრა). მაგისთანა გონებით დაქვეითებულ ქალაქს, როგორიც აბაშა არის, მგონი ვერსად შეხვდება ადამიანი! დამსჯელი რაზმების „წყალობით“ აყროლებული და ~აგვების ბუდეთ გადაქცეული დუქნები ცეცხლის ალმა სჩანთქა; იმის შემდეგ საუცხოვო ქვის შენობები წამოჭიმეს. ერთი ჭირი მარგებელიაო, ისე იმოქმედა აქაურობის განადგურებამ. მარა ბოლოს მაინც ყველა ვაჭრებს როგორც წინეთ ჯიბის ინტერესი გონებიდან ვერ გამოეკილა· მათ ამდენი ხნის ვაჭრებს ერთი ბიბლიოტეკა არ მოეძევებათ! მარტო თავის თავზე რომ ფიქრობდეს ქვეყანაზე ად მიანი, ქვეყანა დაწინაურებას ვერ ეღირსებოდა, მათ უჭირთ და ეძნელებათ თითო მანეთის წლიურათ გაღება, რომ საუცხოვო ბიბლიოტეკა იქონიონ და გონების განვითარებასთან ერთად ქალაქს სახელი და შნო მიეცეს! სამაგიეროთ ყველა ამ ქვის შენობაში შეხვდებით რუმბებით ღვინოს და სამიკიტნოებს, სადაც დილიდან მოკიდებული შუაღამემდის ღრიალი და მუშტი კრივი იმართება! მათში გარჩევა არ არის: როგორც „იზვოშჩიკები“, რომელთაც ძვირათ ნახავ ფხიზელს და რა მოგელის არ იცი, როცა ეტლში ჯდები, ისე ყველა წოდების მცხოვრებს დევიზათ აქვს გადაქცეული აუცილებელი სიმთვრალე და ღრიალი. ჩვენი მოხუცი ბოქაული კარგი კაცია, მარა აგენს ყურადღებას სრულებით არ აქცევს. ზოგიერთს გონია, რომ ჩამონაქანქრევს იღებს ამ მიკიტნებიდანო. მადლობა ღმერთს სტრაჟნიკებით სავსეა აქაურობა,—რა უშლის, რომ ეს ბაზრის თავაშვებულებამას თუ ეზარება მიხედვის,—იმათ მაინც დაავალოს ყურის გდება. მარა ვაი რომ ისინიც არ ჩამოუვარდებიან მოღრიალეთა გუნდს მონაწილეობაში! ჩვენ გვინახავს ბოქაული, რომელიც თვეში ერთხელ მაინც დუქნებს დაივლიდა, უვარგის პურს, დუქნების უკან მორევს, რომლის სიმყრალე აქაურობას წამლავს, დაავლიდა და ყურადღებას აძლევდა; აი ზაფხულიც და ხოლერა სულ გამოწვეული გვიახლოვდება! ცოტა გაწყდა წრეულს ღარიბი საცოდავი ხალხი ინფლუენციით და ანთებით დასნეულდა. ხოლერამ რომ კიდო „წყალობა“ არ დააკლოს?

**სკვინჩა.**

## კობა და გუგული.

(მოთხრობა პროპაგანდისტთა ცხოვრებიდან)

### VII

გუგულის მიყუჩებულ და უფერულ ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. ის განახლდა თითქოს, ეხლა და მ ეცა მისს ცხოვრებას რაღაც აზრი და ხალისი...

— ღმერთო ჩემო, რისთვის ახლობამდი ამის მაგვარი არაფერი მიგვრძნია, სად ვიყავი, სად ვცხოვრობდი? ნუ თუ გული და სული არ მქონებია,—გაიფიქრებდა გუგული და ყოველ წუთს კობაზე ფიქრობდა. მან მთელის ქალურის გატაცებით მიეცა ამ გრძნობას და მაშინ უბედური არავინ იყო,•როცა თავის საყვარელ არსებას არ ეხვეოდა.

კობას მკვირცხლი და სხივოსანი არსებაც სრულებით გაიტაცა სიყვარულმა და გუგული მისთვის კერპად გადიქცა.

— კობა, სიცოცხლეო, შენ რომ დაგიჭირონ იმ ძაღლებმა, მე რა უნდა მეშველოს, სად უნდა წავიდე, სად გადავიკარგო? ხშირად ეტყოდა ხოლმე გუგული სიყვარულით კობას...

— არა უშავს ჩემო გუგულო, ნუ გეშინია, სულ ასე არ იქნება, ეს სუსხი წარმავალია,—დაიმედებდა კობა.

— ღმერთმა ქნას, ღმერთმა! მარა ვაი თუ ჩვენ ვერც ველირსოთ იმ ბედნიერ დღეს, ვაი თუ, ჩემო ლომაებაო, მანამდის ბოლო მოგვიღონ ბნელმა ძალებმა! მაშინ შენს გუგულს მიწაღა ესამარება, მისი სიცოცხლეც შენთან ერთად მოისპობა...

— ცუდ ფიქრებს ნუ მიეცემი ჩემო ძვირფასო, აწმყოთი ვინეტაროთ და ვნახოთ მომავალი რაც იქნება... მხოლოდ ეს კი იცოდე, რომ კობა არ დაემონება ბნელ ძალებს...

ნეტარობდენ შეყვარებულნი, ერთმანეთს სულში უძვრებოდენ, მარა ერთმა გარემოებამ თუ არ მოშხამა, ძმარი მაინც გაურია შეყვარებულთ ნეტარებაში. ორთავე ძალზე დააფიქრა ამ გარემოებამ, ორთავემ ნათლად დაინახეს რომ სიყვარულის პირველი გატაცებანი თანდათან ვიწყდებოდენ, უდარდელ ოცნებას ფრთები ეკვეცებოდა, ოცნების ადგილს სინამდვილე იშლებოდა, გრძნობას გონება იკავებდა...

ეს იყო გუგულის ფეხმძიმობა.

— ასეა ხოლმე ჩემს ცხოვრებაში,—იტყოდა კობა,—სიხარული, უმაღლეს წერტილამდე მიღწეული აღფრთოვანება, და უცებ ყველაფერი იშხამება, იწამლება...

— რა ვქნა, რით დავიხსნა თავი ამ უბედურობას? იქნება კობამ გული იცვალოს, თავი დამანებოს? მერმე სად წავიდე, ვის მივმართო, ვის შევაბრალო თავი? ყველა სასაცილოდ ამიღებს, მშობლები სახლში არ შემიშვებენ... ან იქნებ დაიჭირონ კობა, მაშინ სულა რა მეშველება, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე,—ფიქრობდა გუგული.

— მაშინ რათ ვერ ვიფიქრე მე უბედურმა, მე უგუნურმა! არ ვიცოდი, რომ ასე დამემართებოდა? განა ასე ბრმათ შეიძლება კაცი რომ აყვეს გრძნობას, ასე მიენდოს კაცს...

საბრალო გუგული მანამდი თუ ყოველ წუთს კობაზე ფიქრობდა და ნეტარ წუთების მოგონებით ტკბებოდა, ეხლა თავისი თავი შეექნა საზრუნავი და იმ წამებს წყევა-კრულვით იხსენიებდა.

— ის, ის ხდება ჩემი უბედურების მიზეზი. ის მიწამლავს ნორჩ არსებას...გაივლებდა გულში მეათასედ და საშინლად ამოიხვნეშებდა.

— ვატყობ, რაღაც ჩაფიქრებული დადის, უწინდებურათ არ მეფერება, არ მეალერსება! იქნებ ცდილობს შემიძულოს... უგუნურო ჩემო თავო, რათ ვერ წარმოიდგინე, რომ ეს დაგემართებოდა. ვთქვათ მიმატოვა! ვის უნდა მივმართო, ვის უნდა ვთხოვო სამართალი? კიმართალია მეფიცება, მიყვარხარ და სიკვდილამდე შენი ვიქნებიო, მარა ვინ იცის, იქნებ მატყუებს, განა ცოტა მოუტყუებიათ ასეთის სიტყვებით?

— მართალია ის ძალზე პატიოსანია, მე ის ზე კარგად მყავდა წარმოდგენილი; თუ ოდესმე ასეთ წვრილმან რამეს ის გულში გაივლებდა როგორ მეგონა? მე ვერ წარმომედგინა თუ კობა, ხალხის თაყვანსაცემი გმირი, უბრალო მომაკვდავივით იმოქმედებდა; ჩვეულებრივ თვისებებს გამოიჩენდა? მარა როგორც დავრწმუნდი ისიც ჩვეულებრივი კაცი ყოფილა, ისიც უბრალო თვისებების პატრონი აღმოჩნდა... შეიძლება ეხლაც „ჩვეულებრივათ“ მოიქცეს და მეც მიღალატოს... ვინ იცის, კაცის გული ზღვაა... ოხ, მე უბედური, როგორ ჩემის ხელით მოვიწამლე ჩემი არსებობა, ჩემი ახალგაზრდობა! დღემდის პატიოსანის ქალის სახელს ვატარებდი, ყველასათვის სამაგალითო ზნეობის ვიყავი, ცუდს ჩემსას ვერვინ იტყოდა; აწი კი ყველასათვის თითით საჩვენებელი, ყველასათვის დასაცინი ვიქნები... მე საწყალი, მე უბედური...

— კობა, რაა რომ ასე მერიდები და თითქოს გამირბიხარ? რა იყო, რა წაგიხდინე? თუ რამ წმიდა და პატიოსანი ჩემში იყო, შენ შეგწირე, ჩემი უმანკოება შენ განაცვალე, ჩემი ახალგაზრდობა შენ მოგანდევე და შენ... შენ... ვაი თუ მე საბრალოს ქუჩაში გაგდებას მიპირებ მაშინ, როდესაც ჩვენმა გატაცებამ ნაყოფი გამოიღო? შენ იცი და შენმა კაცო-

ბამ, კობა! უარვყავ დედა, მამა, სირცხვილი, ნამუსი და ჩავიდინე ისეთი საქმე, რომელზედაც ფიქრისაც კი მეშინოდა, ოცნებითაც ვერ გამეტარებია გულში... და ყველაფერი ეს შენის გულისათვის, ჩემო კობავ!.. დღეს, ამ წუთს კიდევ პატიოსანის ქალის სახელს ვატარებ და იქნებ ორის წუთის შემდეგ ყველამ გარყვნილათ მაღიარონ... ხომ იცი ჩვენი საზოგადოების აზრი, შეხედულობა, ხომ იცი, რომ სამარცხვინო ბოძზე ამაკრავენ, პირში ჩამაფურთხებენ. ნუ მომიძულებ, შენ პატიოსანი ადამიანი ხარ. შენ სიყვარულისათვის იბრძოდი და ნუ შეურაცხყოფ მას, ნუ ამოსვრი ტალახში! შენ კარგად იცი, რომ მე მთელის ჩემის არსებით მიყვარხარ და ნუ შემიბღალავ ამ წმინდა გრძნობას, ნუ გახდები ჩემი უბედურობის მიზეზი!

ასე ემუდარებოდა ერთ დღეს გუგული ჩაფიქრებულ კობას და თან ცრემლებით ღაპა-ღუპი გაუდიოდა. ყოველი მისი სიტყვა კობას სიამოვნებასაც გვრიდა და აუწერლათაც ტანჯავდა. „ნუ თუ ჩემი გუგული ასეთი ჭკვიანია, როგორ ლამაზათ ლაპარაკობს“, გაიფიქრა მან და ანგარიშ მიუცემლათ გადაკოცნა აცრემლებული ქალი. და ამ წმიდა კოცნამ მჭერმეტყველურად აჩვენა და აგრძნობინა გუგულოს, რომ ის კობა'ს მთელის თავის გატაცებით უყვარს და ფიქრადაც არ მოსვლია მისი ღალატი.

— მაშ ჩემი ხარ? არ მღალატობ? გენაცვალე სულში, გულში! უწინდელივით იყავი, ისევ ხალი'ით მომექეცი, თორემ ვფიცავ შენს სიყვარულს არ ვიცი რას ვიზამ! შორს ნუ დადიხარ, ცუდი არაფერი შეგემთხვას, მეც ვიცოდე შენი გაჭირვება, დალხინება, ან აქ მოიცადე, ან მეც შენთან მატარე, მე უშენობა არ შემიძლია!

— გუგულო, ჩემო ძვირფასო, მე ამაღამ აქ ვერ მოვიცდი, სხვაგან უნდა წავიდე,—უთხრა უცებ კობამ და ზევით ადგა.

— რათ გენაცვალე, რა იყო? შეეკითხა თოფნაკრავი გუგულო.

— ისეა საქმე, უნდა წავიდე, ცუდი არაფერი იფიქრო.

— რაა, რა საქმეა, მითხარი!

გაიგებ...

— არა გრცხვენია, კობა, მე მიმალავ!.. სირცხვილი!

— მერმე გაიგებ,—ამისი თქმა და უკანასკნელათ ჩაკოცნა ერთი იყო. კობა წავიდა.

— ღმერ ო ჩემო, მე სწორეთ ვიღუპები. კობა მღალატობს, ის ასე არასოდეს არ მომქცევია, ასე ცივათ მას არასოდეს ჩემთან არ ულაპარაკნია. თითქოს მომცხალისა, მარა ვატყობდი, რომ ნაძალადევი იყო... ღმერთო, ეს რა დღე მომესწრო?... მშვიდობით ჩემო ახალგაზდობავ, ნამუსო, პატიოსნებავ! მშვიდობით ჩემო დამღუპველო უმანკოებავ. ოხ, კობა, კობა! ცუდათ შენი ხსენება მე არ შემიძლია, იყავ უმწიკვლოთ, იყავ! და ატირდა გუგულო, უიმედოთ ატირდა...

ოთახის კედლებიც თითქოს ბანს აძლევდენ: ისინიც გულჩათხრობილნი იყვნენ და გუგულოსთან ერთად თავის ბედს წყევლიდენ.

**ვ. მალაქიაშვილი**

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი
**კ. ი. ხერხეულიძე.**

## განცხადებანი


ღვინოები „მ ე ლ ა ა ნ ი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილისა და კამპ.

მაღაზია მიხეილის პროსპექტ. № 5



კანტორა და საწყობი ვინსკაია № 32

ტელეფონიი № 493

1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ ნაწილათ 1 მანეთიდან

**ხელის მაშინები 25** მანეთიდან

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.

ტფილისში სამი განყოფილებაა: 1) გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2) ვაგზლის ქუჩა, სახლი ენფიანჯიანცისა; 3) ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა.

ი ს ა რ გ ე ბ ლ ე თ  შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ

1 2 მ ა რ ტ ი დ ა ნ

**ვაჭრობის შეწყვეტის გამო დაიწყება**

# ლიკვიდაცია

შეკერილი კაცის, ქალის და ბავშვების ტანისამოსი სავაჭრო სახლის

**ძმ. აკოფჯანოვების და სარქისოვის**

ნიკოლოზის ხიდზე, კამოევის სახლი

**ფ ა ს ე ბ ი  გ ა დ ა ჭ რ ი ლ ი ა**

**და აღნიშნულია უკანა იარლიკის გვერდზე ლურჯი კარანდაშით**

იქვე იყიდება მაღაზიის მთელი მოწყობილობა.

ლიკვიდაციის გამო ვაჭრობის გასაადვილებლად მაღაზია 9 ს. 11 ს. ღიაა.

ი ს ა რ გ ე ბ ლ ე თ  შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ

ი ს ა რ გ ე ბ ლ ე თ  შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ

ი ს ა რ გ ე ბ ლ ე თ  შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ

5—2

კავკასიის აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების ჰოსტავშჩიკი

ახალი მოლაპარაკე მაშინა

# პ ა ტ ე ფ ო ნ ი

ამ დარგში უკანასკნელი გამოგონება. პატეს პლასტინკები ყველა ენა ე თანამედროვე საუკეთესო არტისტებისაგან დამღერილი. ამ უქმეებისათვის მიღებულია მრავალგვარი შესანიშნავი ორმაგი პლასტინკები, აგრეთვე საუკეთესო პატეფონები

**ღირსება**

ნემსების გამოცვლა არ არის საჭირო, ხმა მკაფიოდ ისმის, არც შრიალი და არც ტკაცუნი არ ისმის, პლასტინკები არ ფუჭდება



**ფასი 30 მანეთი და მეტიც**

გრამოფონების გადაკეთება პატეფონებად უფასოდ.

გთხოვთ სხვა ნაირ ნაირ მოლაპარაკე მაშინები პატეფონებად არ ჩათვალოთ.

ადგილობრივი წარმომადგენელი ძმ. პატეების პარიჟში

# კ ა რ ლ  შ უ მ ა ნ ი

**ტფილისი, გოლოვინის პროსპ. 10.**

კავკასიის აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების ჰოსტავშჩიკი.

# პროვოდნიკის

ამხანაგობა

**რიგაში**



1897 წ.



1908 წ.

1888

**საფაბრიკო საწყობის განყოფილება ამიერ-კავკასიისთვის**

**თ ფ ი ლ ი ს შ ი** სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნარდათ და ცალობით**

დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიისა სულ იაფ ფასამდე.

დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.

დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.

რეზინის ღრუბელი.

№ 4. სავარცხლები რქის რეზინისაგან.

**ცალობით ვაჭრობა ღედამიწაზე საუკეთესო**

№ 2. გალოშების „პროვოდნიკისა“

(25—5.—12).


ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ამხ. „სორაპანი“-სა, მადათოვის კუნძული № 1, ტელეფ. № 539